



არაოფიციალური თარგმანი

ევროკომისია

ევროკავშირის უმაღლესი
წარმომადგენელი ერთიანი საგარეო და
უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

ბრიუსელი, 26 მაისი

სამუშაო დოკუმენტი

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება 2010 წლის განმავლობაში

ანგარიში საქართველოს შესახებ

რომელიც თან ახლავს

ევროპარლამენტის, ევროკავშირის საბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური
კომიტეტის და რეგიონთა კომიტეტის ერთობლივ კომუნიკაციას

ახალი პასუხი ცვალებად სამეზობლოზე

1. ზოგადი შეფასება

საქართველოს და ევროკავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობა 1996 წელს, „პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების გაფორმებით დაიწყო. ამ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა, 2006 წლის ნოემბერში ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებული ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

2010 წელს ჩატარდა შეხვედრები ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საბჭოს, თანამშრომლობის კომიტეტის, ვაჭრობის, ეკონომიკის და იურიდიული საკითხების ქვეკომიტეტის, სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების ქვეკომიტეტების ფარგლებში;

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების დინამიკა 2010 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, თუმცა, ანგარიშში ამ ვადის გასვლის შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიცაა განხილული. დოკუმენტი აქ წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის ზოგად მიმოხილვას. რეგიონულ და სხვადასხვა სექტორში მიმდინარე მრავალმხრივი პროცესების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დამატებით იხილეთ ანგარიში სხვადასხვა სექტორის შესახებ.

ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, გააღრმავონ და გააფართოვონ ურთიერთობები აღმოსავლეთ პარტნიორობის პარალელურად და მის ფარგლებში. 2010 წლის ივლისში დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე. 2010 წლის მეორე ნახევარში მოლაპარაკებები კარგი ტემპით მიმდინარეობდა.

მხარეები ამ შეთანხმებას განიხილავენ, როგორც ყველაზე უფრო პროგრესულ და ამბიციურ დოკუმენტს, რომელიც კარგად ასახავს აღმოსავლეთ პარტნიორობით გათვალისწინებულ ხედვას ასოცირების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის და ევროკავშირის კანონთა კრებულთან (*EU acquis*) დაახლოების ჩათვლით. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები იმავე ჩარჩოში დაიწყება, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც აუცილებელი პირობები იქნება დაკმაყოფილებული. აღინიშნებოდა წინსვლა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სასურსათო უსაფრთხოების, კონკურენციის და ინტელექტუალური საკუთრების სფეროებში დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები შესრულების საქმეში. საქართველომ დაიწყო მუშაობა ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების პროცესისთვის აუცილებელი ინსტიტუციური შესაძლებლობების შექმნაზე.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ 2010 წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განხორციელებაში საქართველომ წარმატებებს მიაღწია, განსაკუთრებით მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებაში, არჩევნების უკეთ ჩატარებაში, ქალთა უფლებების დაცვაში, კონსტიტუციურ რეფორმაში, ვაჭრობასთან და ბიზნესთან დაკავშირებულ სფეროებსა და რეგიონულ თანამშრომლობაში. მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მიღწეული მმართველობის სისტემაში კორუფციის დაძლევაში. ერთ–ერთი ძირითადი მიღწევა იყო 2010 წლის ოქტომბერში ახალი ადმინისტრაციული კოდექსის ძალაში შესვლა. საქართველოს ხელისუფლებამ ინტენსიურად იმუშავა ახალი კოდექსის წარმატებით განხორციელებისთვის. ამ ძალისხმევის გაგრძელება და კანონმდებლობის

ეფექტიანად განხორციელება აუცილებელი პირობაა გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად.

ამავდროულად, საქართველომ უნდა დააჩქაროს დემოკრატიის განმტკიცებაზე მიმართული ძალისხმევა, განსაკუთრებით პოლიტიკური და მედია პლურალიზმის სფეროებში. უმცირესობების უფლებების დაცვა და მათი ინტეგრირება და კორუფცია მაღალ ეშელონებში ის სფეროებია, სადაც უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო. გამოწვევები კვლავ რჩება შემდეგ საკითხებში: შეკრების თავისუფლება, შრომითი უფლებები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, სიღარიბის შემცირება და სოფლის მეურნეობის განვითარება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოხატა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ შრომითი უფლებების და შრომის საერთაშორისო სტანდარტების სფეროში საქართველო არ ასრულებს ძირითადი კონვენციით განთვალისწინებულ პირობებს. მათი შეუსრულებლობა საფრთხეს უქმნის საქართველოს უფლებას, ისარგებლოს ევროკავშირის შეღავათების (პრეფერენციების) ზოგადი სისტემით + (GSP+) ევროკავშირთან ვაჭრობაში.

რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით მიყენებული ორმაგი დარტყმის შემდეგ, 2010 წელს საქართველოს ეკონომიკას გაჯანსაღების ნიშნები დაეტყო. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) სტენდ-ბაი კრედიტის ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად, ქვეყანამ შეინარჩუნა გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა და წარმატებას გაზარდა გაცვლის კურსის მოქნილობა. თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის შეზღუდული ტემპი იმის მანიშნებელი იყო, რომ საქართველოს საგარეო პოზიცია არ არის მტკიცე და აუცილებელია დიდი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფარვა. ქვეყანა კვლავაც დამოკიდებულია საგარეო დახმარებაზე.

ევროკავშირი განაგრძობს საქართველოს სუვერენობისა ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, საგარეო კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მხარდაჭერას. ევროკავშირი განაგრძობდა 2008 წლის ოქტომბერში დონორთა კონფერენციის შედეგად გამოყოფილი 500 მილიონი ევროს ოდენობის ომისშემდგომი დახმარების გაწევას. *ქენევის საერთაშორისო დისუსია* კვლავაც რჩება ერთადერთ ფორუმად, სადაც იმართება სტრუქტურული დიალოგი კონფლიქტის მხარეებს შორის. ევროკავშირის მონიტორინგის მისია, როგორც ერთადერთი შეთანხმებული საერთაშორისო მისია საქართველოში, აგრძელებდა დახმარების გაწევას უსაფრთხოების შენარჩუნებაში. თუმცა, მისიას არ ქონდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა, რადგან არ ეძლეოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში შესვლის შესაძლებლობა. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულმა დოკუმენტმა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის საშუალებით“ ვერ შეძლო რაიმე ძირეული ცვლილების შეტანა სიტუაციაში. 2010 წლის განმავლობაში საქართველო შეახსენებდა რუსეთს, ევროკავშირის შუამდგომლობით შემუშავებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს და ამ შეთანხმების 8 სექტემბრის განხორციელების გეგმას, თუმცა ისინი არ შესრულებულა.

1. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა

დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი უფლებები

ადგილობრივი არჩევნები, რომლის დროსაც პირველად, პირდაპირი არჩევნებით იქნა არჩეული თბილისის მერი, მშვიდ ატმოსფეროში ჩატარდა. ადგილობრივ არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსში შევიდა შესწორებები, რომლებიც მოიცავდა საარჩევნო კომისიის თავჯდომარის არჩევის პროცედურაში ცვლილებების შეტანას. საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მიღწეულ იქნა თვალსაჩინო წინსვლა საერთაშორისო სტანდარტების შესრულებაში, თუმცა აღინიშნებოდა ხარვეზები წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საქმეში და საჩივრების დაკმაყოფილების პროცედურაში. 2010 წლის ნოემბერში განახლდა საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის მუშაობა. ის მიზნად ისახავდა 2011 წლის შემოდგომისთვის შემდგომი ცვლილებების შეტანას საარჩევნო კოდექსში, რაც შესაძლებელს გახდიდა შემდგომი არჩევნებისთვის მზადებას ერთი სრული წლის განმავლობაში.

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები საკონსტიტუციო კომისიამ მოამზადა; საქართველოს პარლამენტმა ეს ცვლილებები 2010 წლის ოქტომბერში მიიღო. ცვლილებათა უმრავლესობა 2013 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა ძალაში. საკონსტიტუციო რეფორმის მიზანი ძალაუფლების უფრო დაბალანსებული გადანაწილებაა, რომელიც პრეზიდენტის ძალაუფლებას შეამცირებს და პარლამენტის როლს გაზრდის; ამ გზით განმტკიცდება ურთიერთ გამაწონასწორებელი მექანიზმი (checks and balances) და გამყარდება სასამართლოს დამოუკიდებლობა. თუმცა, ახალი შესწორებები არ უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას, რადგან ძალზე გართულებულია პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებისთვის აუცილებელი ხმების მოპოვება. კრიტიკის საგანი იყო, ასევე, საკონსტიტუციო ცვლილებების ტემპი და პროცესი, რადგან კონსტიტუცია პარლამენტმა იმ დღეს მიიღო, რა დღესაც ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დასკვნა გამოქვეყნდა.

2010 წლის განმავლობაში წინსვლა აღინიშნებოდა სისხლის სამართლის სფეროს რეფორმირებაში. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი 2010 წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში, რითაც რამდენიმე საფუძვლიანი ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის პროცედურაში, კერძოდ, შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის საქმეებში ნაფიც მსაჯულთა სისტემა. საქართველოს ხელისუფლებამ 2010 წლის განმავლობაში ინტენსიურად იმუშავა ახალი კოდექსის წარმატებით განხორციელებისთვის სამართლის დარგის სპეციალისტების მოსამზადებლად სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამების საშუალებით, ასევე, საზოგადოების ცნობიერების გაზრდისა და სისხლის სამართლის საქმეების მართვის ახალი, ინტეგრირებული სისტემის შემოღებით.

წინასვლა იყო მიღწეული, აგრეთვე სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ახალი კონსტიტუცია მოსამართლეების უვადო დანიშვნას ითვალისწინებს. თუმცა, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია და სამოქალაქო საზოგადოება გამოთქვამდა წუხილს მოსამართლეების დანიშნამდე არსებული ხანგრძლივი გამოსაცდელი ვადის გამო. გამოსაცდელი ვადის პერიოდში მოსამართლეები მეტად შეიძლება დაემორჩილონ პოლიტიკურ გავლენას. 2010 წლის თებერვალში შესწორებები შევიდა კანონში „საერთო სასამართლოებში დისციპლინარული პასუხისმგებლობის და მოსამართლეთა დისციპლინარული დევნის შესახებ“, რითაც შეიცვალა დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურა, რომ

მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინარული დევნაში პოლიტიკური ზეწოლის ფაქტორი მინიმუმადე იქნას დაყვანილი.

რაც შეეხება სამართლის **ხელმისაწვდომობას**, სასჯელაღსრულების და იურიდიული დახმარების სამინისტროს უფასო იურიდიული დახმარების სამსახური განაგრძობს მოქალაქეებისთვის, დაუცველი ჯგუფების ჩათვლით, უფასო იურიდიული დახმარების გაწევას მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუმცა, 2010 წელს აღინიშნა უკანდახევა – მთავრობამ გადაწყვიტა, რომ უფასო იურიდიული სამსახური კონსულტაციებს გაუწევს მოქალაქეებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში 2013 წლის იანვრიდან და არა 2011 წლის იანვრიდან, როგორც თავიდან იყო დაგეგმილი. ამის მიზეზი თვით ამ სამსახურში კადრების ნაკლებობა იყო.

2010 წლის განმავლობაში არ ყოფილა წინსვლა საჯარო სამსახურის რეფორმირებაში. საქართველოში არ არის კანონები და სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებს ხელფასებს და საჯარო მოხელეების მომზადებას. შეიქმნა საჯარო სამსახურის კოდექსი, თუმცა ის არ შეესაბამება ევროპის ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის მიერ დადგენილ პრინციპებს და სტანდარტებს. საჯარო სამსახურის ბიურო ძირითად ყურადღებას უთმობს კორუფციას საჯარო სამსახურში და არა ზოგადად რეფორმას. ამ მოთხოვნების შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიურომ შექმნა საჯარო მოხელეთა ქონების დეკლარირების ონლაინ სისტემა.

2010 წლის განმავლობაში უმნიშვნელო წინსვლა აღინიშნებოდა **დეცენტრალიზაციის** და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაში. რეგიონული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც 2010 წლის ნოემბერში იყო მიღებული ითვალისწინებს 2011 წელს „რეგიონული განვითარების“ შესახებ კანონპროექტის შემუშავებას, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების გაზრდაზე მიმართულ საკანონმდებლო ნაბიჯებს მოიცავს. ახალ კონსტიტუციაში არის თავი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მაგრამ მისი დებულებები ზოგადაა და განმარტებებს საჭიროებს ადგილობრივი ხელისუფლება და მისი ორგანიზაცია.

რეგიონული პოლიტიკის შესახებ დიალოგის სფეროში თბილისის მუნიციპალიტეტმა მოაწყო სემინარი TAIEX –თან ერთად, რომელზეც ევროკომისიის წარმომადგენლები და ევროპის რეგიონების წარმომადგენლები იყვნენ მოწვეულნი. შეხვედრის შემდეგ საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი ოფიციალური პირების ჯგუფთან ერთად მიწვეული იყო ბრიუსელში 2010 წლის ევროპის ქალაქების და რეგიონების ევროპული კვირეულის REGIO ღია კარის დღეებზე. ამ ვიზიტისას გაიმართა შეხვედრები რეგიონული პოლიტიკის ევროკომისართან ჯ. ჰანთან. ამ შეხვედრების შედეგად 2011 წლის თებერვალში ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას და შეთანხმდა სამუშაო გეგმა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველო შედარებით უფრო წარმატებული იყო მმართველობაში **კორუფციის** აღმოფხვრაში. წინსვლა იყო მიღწეული კორუფციის სისხლის სამართლის დანაშაულად უფრო მტკიცედ აღიარებაში, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებასა და მონიტორინგის ჯგუფების დაცვის საქმეში.

უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭო 2010 წელს შეიქმნა. ჩარტარდა კორუფციასთან დაკავშირებული რამდენიმე გამოძიება და აღიძრა საქმეები

საჯარო მოხელეების წინააღმდეგ. თუმცა, კვლავ შემფოთების საგნად რჩება კორუფცია პოლიტიკურ დონეზე და ამის ერთ-ერთი მიზეზია პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე სუსტი კონტროლი, შესყიდვების და პრივატიზაციის პროცესში ნაკლები გამჭვირვალობა, სუსტი ანგარიშვალდებულება მაღალი რანგის ოფიციალური პირების მიერ სარეზერვო ფონდების განკარგვაში, ქონებრივი უფლებების არასათანადო დაცვა და მედიის დაფინანსების და მფლობელობის გამჭვირვალობის ნაკლებობა.

ადამიანის უფლებები და ძირითადი უფლებები

საქართველო ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმებების და დათი დამატებითი ოქმების ხელმომწერია. 2003 წლიდან საქართველო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტუტუტის მონაწილე მხარეა. 2010 წელს გაიმართა დიალოგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებების სფეროში. დიალოგის ფარგლებში მოხდა პოზიტიური აზრთა გაცვლა-გამოცვლა საქართველოში ადამიანის უფლებების და ძირითადი უფლებების სფეროში.

სახალხო დამცველი (**ომბუდსმენი**) განაგრძობდა ადამიანის უფლებების დარღვევის დამოუკიდებელ მონიტორინგს. 2010 წელს მისი უფლებამოსილება გაიზარდა. მთავრობა ხელს უწყობდა სახალხო დამცველის როლის გაძლიერებას ამ უწყების ბიუჯეტის გაზრდის საშუალებით; ასევე, სახალხო დამცველის მონაწილეობით ევროკავშირი-საქართველოს შორის ადამიანის უფლებების დიალოგში და ფართომასშტაბიანი ინტიტუციურ პროგრამიდან დახმარების მიღებით.

2010 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა ჩაატარა გაეროს **წამების** საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პირველი მონიტორინგი. 2010 წლის სექტემბერში ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ასახავდა კომიტეტის 2010 წლის თებერვლის ვიზიტის შედეგებს. ანგარიშში აღწერილი იყო ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ცუდი მოპყრობის და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ რამდენიმე პატიმრის საჩივარი, რომელიც არ იყო სათანადოდ გამოძიებული ხელისუფლების მიერ.

არაადამიანური და ღირსების შემლახავი **დაკავების პირობები** – რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობითაა გამოწვეული – და არასათანადო ჯანდაცვა, კვლავ შემფოთების საგნად რჩება. ეს წამების პრევენციის ანგარიშშიცაა ასახული. ფსიქიატრიული პაციენტების მკურნალობაც შემფოთებას იწვევს. შედარებით ნაკლები წინსვლა აღინიშნება სასჯელაღსრულებით და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში მატერიალური პირობების გაუმჯობესებისა და წინასწარ დაკავების იზოლატორებში მყოფთა იურიდიული დახმარების თვალსაზრისით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2010 წლის თებერვალსა და ივლისში შეტანილი ცვლილებები სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებად ითვლება. ამ ცვლილებების განხორციელება და სისხლის სამართლის კანონმდებლობის, ასევე სასჯელის პოლიტიკის უფრო საფუძვლიანი გადახედვა, ძალზე მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულებით სისტემაში პატიმართა ი რიცხვის ზრდითაა გამოწვეული.

მედიის მფლობელთა გამჭვირვალობა და სირთულეები საჯარო ინფორმაციის მოპოვებაში სერიოზულ პრობლემებს უქმნის დამოუკიდებელ მედიას საქართველოში. პარლამენტი გეგმავს მედიის მფლობელთა გამჭვირვალობაზე მიმართულ ცვლილებათა პაკეტის

განხილვას და შესაბამისი ცვლილებების შეტანას კანონმდებლობაში, მაუწყებელთა შესახებ კანონის ჩათვლით. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2010 წლის მაისის არჩევნების წინა პერიოდის და თვით არჩევნების გაშუქება ბევრად უფრო დაბალანსებული იყო არჩევნების წინაპერიოდთან შედარებით, თუმცა მაინც პოლარიზებული.

წინსვლა არ აღინიშნებოდა ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის და მათი ინტეგრირების თვალსაზრისით. 2009 წლის მაისში მიღებულ იქნა დოკუმენტი „ინტეგრირების ეროვნული სტრატეგია: ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრირების ნაციონალური კონცეფცია“, თუმცა 2010 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიში არ მომზადებულა. ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის მოთხოვნები არ არის სრულად ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში, ხოლო რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპული ქარტია არ არის ხელმოწერილი საქართველოს მიერ. საქართველოში მესხი მოსახლეობის რეპატრიაციისა და ინტერგაციისთვის საჭირო განაცხადების შევსების ვადა 2009 წლის ბოლოს დასრულდა და რეპატრიაციაზე განაცხადი 6000-ზე მეტმა ადამიანმა შეიტანა. საქართველოს მთავრობამ შექმნა განაცხადების მონაცემთა ბანკი და დაიწყო მათი შეფასება, თუმცა პროცესი ძალზე ნელია. ჯერ არ შემუშავებულა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფდა მესხების რეპატრიაციას, განსახლებას და ინტეგრაციას; მთავრობის შესაძლებლობა, ეფექტიანად განიხილოს განაცხადები ჯერ კიდევ შეშფოთების საგნად რჩება.

2010 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო **გენდერული თანასწორობის** შესახებ კანონი, რომელიც ადგილობრივ არასამთავრობოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამთავრობო უწყებებთან ერთად მომზადდა. პარლამენტის თავმჯდომარის აპარატში მოქმედი გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო აქტიურად მუშაობდა ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის და ოჯახური ძალადობის საკითხებზე და დიდი წვლილი შეიტანა ახალი კანონის მიღებაში. კანონი ხელს უწყობს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაძლიერებას და მთავრობის მიერ გენდერზე ორიენტირებულ დაგეგმვას და ბიუჯეტის შედგენას. ქალებისა და მამაკაცების ანაზღაურებას შორის ჯერ კიდევ არის სხვაობა: 2010 წლის მესამე კვარტალში ოფიციალურად დასაქმებული ქალთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი 43%-ით დაბალი იყო მამაკაცების ხელფასზე.

წინასვლა აღინიშნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმირების სფეროში. 2010 წლის თებერვლიდან ძალაში შევიდა შესწორება სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვითაც დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების ასაკი 12 წლიდან 14 წლამდე გაიზარდა. ცვლილებებმა მისცა პროკურატურას დისკრეციული უფლება, განარიდოს არასრულწლოვანები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს ალტერნატიული სასჯელის დაკისრებას. წინსვლა აღინიშნება, ასევე, თანამშრომელთა სისხლის სამართლებრივი სფეროს შიგნით სპეციალიზაციაში და არასრულწლოვანებისთვის ცალკე შეწყალების კომისიის შექმნაში, რომელიც ვადამდე ადრე პირობით გათავისუფლების შესახებ განაცხადებს განიხილავს.

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში

2007 წლის ივნისში საქართველოს მიეცა შესაძლებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეერთებოდა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დეკლარაციებს. 2010 წელს საქართველო მოწვეულ იქნა მონაწილეობის მისაღებად 44 დეკლარაციაში, საიდანაც 28-ს შეუერთდა. 2010 წელს გაიმართა ინტენსიური პოლიტიკური დიალოგი საქართველოსთან პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის ორი დიალოგის ფარგლებში 2010 წლის ივნისსა და სექტემბერში, ასევე, გაფართოების და სამეზობლო პოლიტიკის ევროკომისრის აპრილისა და ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის ივლისის ვიზიტების ფარგლებში.

რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება

სამხრეთ კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამა (SCIBM), რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში უნდა განხორციელდეს, 2010 წლის მარტში დაიწყო. (იხ. თავი – თანამშრომლობა სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების საკითხებში). კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი მუშაობდა ინფორმაციის გავრცელებასა და მოსახელობის მონაწილეობის გაზრდაზე, გარემოსდაცვით პოლიტიკასა და ადგილობრივი გარემოსდაცვითი საქმიანობის გეგმებზე (იხ. თავი 6 გარემოს დაცვის შესახებ).

თანამშრომლობა საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრების ფარგლებში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად

ევროკავშირი განაგრძობდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად შემუშავებული სამოქმედო გეგმის განხორციელებას. 2010 წელს მოხდა ამ გეგმის გადახედვა. გადახედვასთან ერთად შემუშავდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ახალი სტრატეგია და სამუშაო გეგმა.“ ეს გეგმა გულისხმობდა ყველა იმ დარჩენილი იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას, რომლებისთვისაც ეს ვერ მოხერხდა შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო. 2010 წლის ივნისიდან აგვისტომდე და 2011 წლის იანვარში ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი, რომელმაც უკანონოდ დაიკავა ცარიელი შენობები თბილისში, ძალით იქნა გამოსახლებული.

თუმცა, მთავრობის ინფორმაციით გამოსახლებულთა დიდ ნაწილს უკვე ჰქონდა მიღებული მუდმივი საცხოვრებელი ან არ ჰქონდა მისი საჭიროება; ბევრს სახელმწიფომ შესთავაზა განსახლება რეგიონებში, თბილისიდან მოშორებით, სადაც შემოსავლის მიღების პერსპექტივა იყო ძალიან მცირე. ბევრი საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცია, საერთაშორისო დონორები საქართველოში და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები კრიტიკას გამოთქვამდნენ ამ პროცესის მიმართ და იმ მეთოდის მიმართ, რომლითაც წარიმართა გამოსახლება. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და სხვა დონორების დახმარებით, მთავრობამ შეიმუშავა გამოსახლების სტრანდარტული სამუშაო პროცედურები. თუმცა, პროცედურები ხშირ შემთხვევაში დაირღვა, რამაც იძულებით გადაადგილებულ პირებს მოლოდინი გაუცრუა. უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად და მათთვის საარსებო წყაროს უზრუნველყოფისთვის. არსებობს რიგი პროექტებისა, მათ შორის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, თუმცა არ არსებობს ფართომასშტაბიანი სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

ევროკავშირი ერთგული რჩებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენობის პრინციპისა და განაგრძობდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მხარდაჭერას. ევროკავშირი ასევე განაგრძობდა 500 მილიონი ევროს ღირებულების ომისშემდგომი დახმარების გაწევას. ეს ის დახმარებაა, რომლის შესახებ 2008 წელს დონორთა კონფერენციაზე გამოცხადდა. ამ დახმარების წყალობით ათასობით იძულებით გადაადგილებულმა პირმა მიიღო გრძელვადიანი საცხოვრებელი და შესაძლებელი გახდა მათი სოციალური და ეკონომიკური ინტეგრირებისთვის შეზღუდული ოდენობით თანხების გამოყოფა. დახმარება კონფლიქტით დაზარალებულმა სხვა ადამიანებაც მიიღეს. სამოქალაქო საზოგადოების წყალობით ხდებოდა კონფლიქტის მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგის წახალისება. *(იხ. თავი ფინანსური თანამშრომლობის შესახებ)*

ევროკავშირი, გაეროსა და ეუთოსთან ერთად, თანათავმჯდომარეა „**ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა**“. ეს ფორმატი 2008 წელს შეიქმნა და ერთადერთი ამ ტიპის ფორმატია, რომელიც კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური პროცესის წარმართვის საშუალებას იძლევა. 2010 წლის განმავლობაში ჟენევის მოლაპარაკებების ექვსი რაუნდი ჩატარდა.

2010 წლის განმავლობაში ევროკავშირი შეახსენებდა რუსეთს 2008 წლის სექტემბერში ევროკავშირის დახმარებით ხელმოწერილი **ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით** ადებულ ვალდებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსრულებელია. 2010 წლის ოქტომბერში რუსეთმა გაიყვანა სამხედრო ძალა სოფელ პერევიდან, რომელიც საქართველოს სამხრეთ ოსეთის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვარს ემიჯნება.

ევროკავშირის სამოქალაქო მონიტორინგის მისია (**EUMM**), რომელიც 2008 წელს შეიქმნა და 340 დამკვირვებლისგან შედგება, სტაბილიზაციის პროცესის მონიტორინგს და ანალიზს ახორციელებს. 2010 წლის სექტემბერში, მონიტორინგის მისიის უფლებამოსილება კიდევ ერთი წლით გაგრძელდა. თუმცა, სეპარატისტულ რეგიონებში მისიის შესვლაზე უარის თქმა საშუალებას არ აძლევს მისიას თანაბრად განხორციელოს მანდატით დაკისრებული უფლებამოსილება.

2010 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ მიიღო სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დოკუმენტის „**ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სტრატეგია**: ჩართულობა თანამშრომლობის საშუალებით“ განხორციელებას. სამოქმედო გეგმის მიზანია „ადამიანზე ორიენტირებული“ მიდგომის შემუშავება და „იზოლაციის დაძლევა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის“. 2010 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ორგანიზაციების ჩართულობის მოდალობები“ რაც ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის და სამოქმედო გეგმის განხორციელებას ითვალისწინებს. ის არეგულირებს დონორების და მათი პარტნიორების მიერ სეპარატისტულ რეგიონებში დახმარების პროექტებით გათვალისწინებულ საქმიანობას. საერთაშორისო თანამეგობრობამ გამოხატა შემფოთება ამ წესებისა და შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირებით და მთავრობას ცვლილებების შეტანის რეკომენდაცია მისცა; თუმცა, მთავრობამ დოკუმენტში მხოლოდ რამდენიმე ცვლილება შეიტანა. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელება და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაზე ორიენტირებული საერთაშორისო პროექტების გაგრძელება იმაზე იქნება

დამოკიდებული, თუ რამდენად პრაქტიკული და რეალური იქნება ამ მოდალობების განხორციელება.

2010 წლის 23 ნოემბერს ევროპარლამენტში პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააკეთა ცალმხრივი განცხადება „ძალის გამოუყენებლობის“ შესახებ და განაცხადა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღსადგენად საქართველო მხოლოდ მშვიდობიან საშუალებებს გამოიყენებს.

3. ekonomikuri da socialuri reforma

მაკროეკონომიკური მექანიზმი და ქმედითი საბაზრო ეკონომიკა

2008 წლის აგვისტოში რუსეთთან სამხედრო კონფლიქტითა და გლობალური კრიზისით მიყენებული დარტყმების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკაში გაუმჯობესების ნიშნები გამოჩნდა. ორწლიანი დაბალი ან უარყოფითი მაჩვენებლების შემდეგ, 2010 წელს ეკონომიკის ზრდა დაფიქსირდა. 2009 წლის 3.8%-იანი შემცირება 2010 წელს მშპ-ის 6.3%-იანმა რეალურმა ზრდამ შეცვალა.

ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის მთავრობამ საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება გადაწყვიტა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო ხაზის თანახმად ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, ფისკალური დეფიციტი 2009 წლის მშპ-ის 9.2%-დან 2010 წელს 6.6%-მდე შემცირდა. ასეთი ფისკალური კონსოლიდაცია ხარჯების შემცირების შედეგი იყო, თუმცა საგადასახადო შემოსავლების ამოღებაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. 2009 წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები 10%-ით გაიზარდა, რითიც გლობალური კრიზისით გამოწვეული 2008 წლის დანაკლისების კომპენსირება მოხდა. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ზაფხულში დაიწყო, ინფლაციის გაკონტროლების მიზნით საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ზომიერი გაზრდით. სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაცია 2010 წელს საშუალოდ 7.1%-ს შეადგენდა, თუმცა წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 10.2%-მდე გაიზარდა. ინფლაციური ზეწოლის შესამცირებლად, მონეტარული პოლიტიკის მესვეურებმა საბაზისო საპროცენტო განაკვეთი 2010 წლის მიწურულს კიდევ გაზარდეს და უფრო მაღალი სარეზერვო მოთხოვნები დააწესეს. ეს ნაბიჯები მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს შეესაბამებოდა, რომლებიც ქვეყანას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო ხაზით ჰქონდა ნაკისრი. ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის პოლიტიკაც გადასინჯა და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ამ სფეროში დასაქმების ზრდის პოლიტიკური ხელშეწყობის ვალდებულება აიღო.

ეკონომიკური მდგომარეობა კი უმჯობესდება, მაგრამ საგარეო ეკონომიკური ვითარება რთულია, რადგან მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტის დაფინანსების საკითხი გაურკვეველი რჩება. კრიზისის გამო ადგილობრივი მოთხოვნის შემცირებას შედეგად 2009 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი განახევრება მოყვა. მიუხედავად ამისა, დეფიციტი კვლავ დიდია. 2010 წელს დეფიციტმა მშპ-ის 9.9% შეადგინა და 2011 წელს მისი შემდგომი ზრდა არის მოსალოდნელი. მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი ძირითადად სავაჭრო დეფიციტით არის გამოწვეული, რომელმაც 2010 წელს მშპ-ის 22.2% შეადგინა. საქართველოს ექსპორტზე კვლავ უარყოფითად მოქმედებს რუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებული სავაჭრო ემბარგო, რომელიც 2008 წელს უფრო გაფართოვდა. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში დაბალი, ხოლო პრეფერენციების განზოგადებული სისტემის, ანუ GSP+–ის შესაძლებლობები გამოუყენებელი რჩება.

მიუხედავად ვაჭრობასა და საექსპორტო სტრუქტურაში ბოლოდროინდელი ცვლილებებისა, საჭიროა საქართველოს ექსპორტის მეტი დივერსიფიკაცია. ზოგადად, საქართველოს არსებული ექსპორტი თავის პოტენციურ შესაძლებლობებს ბევრად ჩამორჩება.

კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე. 2010 წელს მათი მოცულობა 550 მილიონ აშშ დოლარამდე (დაახლოებით 415 მილიონი ევრო) შემცირდა, რაც ბევრად ნაკლებია 2009 წლის მოცულობაზე, რომელმაც 750 მილიონი დოლარი (566 მილიონი ევრო) შეადგინა. ეს არასახარბიელო მაჩვენებელი რისკის ქვეშ აყენებს მიმდინარე ანგარიშის დაფინანსებას და საერთაშორისო სავალუტო რეზერვების დაგროვებას და იმაზე მეტყველებს, რომ უცხოელი ინვესტორების ნდობა, რომელიც 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტმა ძალზე შეარყია, ჯერ კიდევ არ აღმდგარა. ეს პრივატიზაციის პროცესის ტემპის შენელებაზეც მიუთითებს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ყველა მიმზიდველი სახელმწიფო კომპანიები და ქონება უკვე გასხვისდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო ხაზის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულების თანახმად, რომელიც გაცვლის კურსის ელსატიურობის გაზრდას ითვალისწინებდა, საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებდა ნაკლებ ინტერვენციონისტული გაცვლის კურსის პოლიტიკას. ლარის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ, რომელიც წლის პირველ ნახევარში აღინიშნებოდა, 2010 წლის ივნისიდან შეიცვალა. ლარის გამყარებამ უცხოური ვალუტის რეზერვების მდგომარეობა ოდნავ გააუმჯობესა. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის დროს ძალზე დაბალ მაჩვენებლამდე - 1.5 მილიარდ აშშ დოლარამდე (1.13 მილიარდი ევრო) შემცირებული მთლიანი საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 2010 წლის ბოლოსთვის 2.3 მილიარდ დოლარამდე (1.73 მილიარდი ევრო) გაიზარდა, წმინდა საერთაშორისო სავალუტო რეზერვები მაჩვენებელი მაინც დაბალი დარჩა - 825 მილიონი აშშ დოლარი (622 მილიონი ევრო). საგადამხდელი ბალანსის კიდევ ერთი პრობლემა სწრაფად მზარდ საგარეო ვალს უკავშირდება, რომელიც 2007 წელს მშპ-ის 16.8%-დან 2010 წელს მშპ-ის 34.1%-მდე გაიზარდა; პრობლემას წარმოადგენს, ასევე, მომდევნო რამდენიმე წელიწადში ვალის რეფინანსირების საჭიროება.

2008 წლის სექტემბერში, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს 750 მილიონი აშშ დოლარის (566 მილიონი ევრო) 18-თვიანი საკრედიტო ხაზი გაუხსნა. ეკონომიკური პროგრამის მესამე მიმოხილვის დროს, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ 2009 წლის აგვისტოში დაამტკიცა, საკრედიტო ხაზის ვადა 2011 წლის 14 ივნისამდე გახანგრძლივდა, ხოლო დაფინანსების პაკეტი გაიზარდა და ამ ხაზით სულ 1.17 მილიარდი აშშ დოლარის (883 მილიონი ევრო) ოდენობის საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსები გახდა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი. 2011 წლის 12 იანვარს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ დაასრულა მე-7 და მე-8 მიმოხილვები და დაასკვნა, რომ ეკონომიკური პროგრამის განხორციელება ძირითადად დამაკმაყოფილებელი იყო. თუმცა, ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ არ აპირებდა იმ 153 მილიონი აშშ დოლარის (115 მილიონი ევრო) გამოყენებას, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

დასაქმება და სოციალური პოლიტიკა

ეკონომიკის გაჯანსაღებამ მხოლოდ უმნიშვნელოდ გააუმჯობესა შრომი ბაზარი, რაც უმუშევრობის დონის მცირედი შემცირებით გამოიხატა - 2009 წლის 17%-დან 15%-მდე

2010 წელს. საჭიროა დამღეული იქნეს უნარ-ჩვევებსა და ბაზრის მოთხოვნებს შორის არსებული შეუსაბამობა, მაგრამ საქართველოს რაიმე კონკრეტული დასაქმების პოლიტიკა არა აქვს და არც დასაქმების სააგენტო არსებობს. უფრო თუ განვაზოგადებთ, არ არსებობს სოციალური სექტორის საერთო სტრატეგია, თუმცა შემუშავებულია მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთ სფეროებში, რომლებიც სოციალურად დაუცველი ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, სწავლაში სიძნელეების მქონე ბავშვების სოციალური მარგინალიზაციის და მათი დაცვის საკითხებს, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს და ტრეფიკინგს ეხება.

შრომითი უფლებებისა და საბაზისო შრომითი სტანდარტების სფეროს რაც შეეხება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თავისუფალი პროფესიული კავშირების კომიტეტის 2010 წლის მარტის ანგარიშში კვლავ არის გამოთქმული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შემფოთება ორი მთავარი კონვენციის - თავისუფალი პროფესიული კავშირების და ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების უფლების კონვენციების განხორციელებასთან დაკავშირებით. შრომის კოდექსსა და პროფესიული კავშირების შესახებ კანონში ისეთი ცვლილებების შეტანა საჭიროა, რომლებიც შრომის ძირითადი სტანდარტების შესაბამისი იქნება, განსაკუთრებით პროფესიული კავშირების ჩამოყალიბების, პროფესიული კავშირების დისკრიმინაციისგან დაცვისა და გაფიცვის უფლების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. გარდა ამისა კომიტეტმა გაიმეორა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შემფოთება თანაბარი ანაზღაურების, დისკრიმინაციისგან დაცვისა და ხელფასიანი შვებულებების კონვენციების შესრულებასთან დაკავშირებით.

სოციალური დიალოგის სფეროში, 2010 წლის მაისში სამმხრივი მოლაპარაკებების დროს, მიღწეული იქნა შეთანხმება შრომის კოდექსში მინიმალური ცვლილებების შეტანაზე, კერძოდ, პროფესიული კავშირების დისკრიმინაციისგან დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა ეს ცვლილებები კოდექსში ჯერ არ შეტანილა. მეტიც, საქართველოს გაერთიანებულმა პროფკავშირმა დაადანაშაულა ხელისუფლება პროფესიული კავშირების დისკრიმინაციასა და საწევროების გადარიცხვის სისტემაში ჩარევაში, რაც გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან სოციალურ დიალოგში მუდმივ ჩარევას. რაც შეეხება **სოციალურ დახმარებას**, 2009 წელს ხელისუფლება ახორციელებდა ბავშვთა დახმარების სამოქმედო გეგმას, ხოლო 2010 წლის ნოემბერში დაამტკიცა ბავშვთა მზრუნველობის სისტემის ძირითადი სფეროების რეფორმირების სამოქმედო გეგმა 2011-12 წლებისათვის. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პროცესი. მთავრობა მხარს უჭერს მცირე, ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლების განვითარებას და 2013 წლის ბოლომდე ყველა 31 დიდი ინსტიტუტის დახურვას გეგმავს.

2010 წლის ივნისში, გადაისინჯა სიღარიბის დონის შეფასების სისტემა მიზნობრივი სოციალური დახმარებისთვის და შემუშავდა ახალი კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა დადგინდეს ის ოჯახები, რომლებიც, სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არიან. მთავრობამ ასევე დაამტკიცა სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნის, ამ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეფასებისა და მათი რეგისტრაციის წესები.

2010 წელს, **სოფლის მეურნეობის** პროდუქცია კვლავ მცირდებოდა. ყველა მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი (მაგალითად, თანმიმდევრული სექტორული სტრატეგიის არარსებობა, განუვითარებელი საჯარო მომსახურება, არასრული მიწოდების სისტემები, კრედიტის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მოძველებული საწარმოო ტექნიკა, და სხვა) კვლავ სახეზეა. კერძოდ, მთავრობას ჯერჯერობით არ მიუღია არცერთი მნიშვნელოვანი

ზომა ფერმერებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. თუმცა, 2010 წელს გარკვეული პოზიტიური ნიშნებიც გამოჩნდა: სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა სექტორის ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგია, რომელიც უნდა დამტკიცდეს ამ საანგარიშო პერიოდის შემდეგ. შეზღუდული დაფინანსება სამინისტროს ხელს უშლის, განახორციელოს მხარდაჭერის ტრადიციული ზომები, როგორებიცაა მექანიზაციის პროგრამის დაფინანსება, სასუქების უფასო დარიგება და ყურძნის მოსავლის სუბსიდირება.

2010 წლის თებერვალში, მთავრობამ შექმნა სახელმწიფო კომპანია - საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია, რომლის მიზანია, გახდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოქმედი განყოფილება. სახელმწიფო მიწების პრივატიზების პროცესი მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

სახელმწიფოს ძალისხმევა ამ სექტორში, ზოგადად, ზემოდან მოდის და მასში სამოქალაქო საზოგადოება არ არის ფართოდ ჩართული. ეს ძალისხმევა ფოკუსირებულია მსხვილი ინვესტიორების მოზიდვაზე და არა ისეთ სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების ხელშეწყობაზე, რომლებიც სარგებელს უშუალოდ ფერმერებს მოუტანდა.

საანგარიშო პერიოდში არ აღინიშნებოდა რაიმე პროგრესი **მდგრადი განვითარების** კუთხით. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ჯერ შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება არ დაუწყო.

4. va Wrobis sakiTxebi, bazari da regulirebis reforma

2009 წლის დაღმავლობის შემდეგ, საანგარიშო პერიოდში **ორმხრივი ვაჭრობა** გაიზარდა; წინა წელთან შედარებით ევროკავშირის ექსპორტმა საქართველოში 31.6%-ით, ხოლო საქართველოს ექსპორტმა ევროკავშირში 7.1%-ით იმატა. საჭიროა საქართველოს ექსპორტის შემდგომი დივერსიფიკაცია, რომელიც კონცენტრირებულია მხოლოდ რამდენიმე დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე საქონელზე (კერძოდ, 2010 წელს ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის 71.8%-ს მინერალურ პროდუქტებზე მოდიოდა).

საქართველო კვლავ სარგებლობდა მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის სპეციალური სტიმულებით, ანუ GSP+ სისტემით, ევროკავშირის პრეფერენციების განზოგადებული სისტემის ფარგლებში. ამ გაფართოებულმა პრეფერენციებმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საექსპორტო საქონლის სტრუქტურის დივერსიფიკაციასა და საქართველოს ექსპორტის გაფართოებაში. თუმცა, ზემოთ განხილული საკითხების მოგვარების გარეშე, საქართველოს GSP+ სისტემაში ჩართვა ეჭვის ქვეშ დგება, რადგან ამ სისტემაში ჩართვა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს ძირითად კონვენციებთან ქვეყნის შესაბამისობაზეა დამოკიდებულია.

2010 წლის დასაწყისში, საქართველომ ზოგიერთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე საბაჟო მოსაკრებლები განაკვეთები იმაზე მეტად გაზარდა, ვიდრე მას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩამონათვალებით აქვს დადგენილი. 2010 წლის მარტში, საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების ეს დარღვევა აღმოფხვრა: მან სპირტის იმპორტზე სატარიფო განაკვეთები იმ დონეებამდე დაწია, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩამონათვალებში აქვს დადგენილი, და იმპორტირებულ და ადგილობრივი წარმოების თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის გადასახადები გაათანაბრა.

ევროკავშირის მთავარი რეკომენდაციებზე დაყრდნობით ინტენსიური დიალოგი გაიმართა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად მოსამზადებელ სამუშაოების განხორციელებაზე. მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა რეგულირების ძირითად სფეროებში სტრატეგიების შემუშავებასა და დამტკიცებაში და საჭირო კანონმდებლობის მომზადებაში, რომელთა შესახებ ქვემოთ არის მოთხრობილი სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის ღონისძიებების, საქონლის თავისუფალი მიმოქცევისა და ტექნიკური რეგულაციების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებისა და კონკურენციის დაცვის ნაწილებში. თუმცა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად საქართველომ დამატებითი სამუშაო უნდა შეასრულოს, კერძოდ, პრაქტიკულად უნდა განახორციელოს რეფორმები რეგულირების ძირითად სფეროებში და მოლაპარაკებების პროცესისათვის შექმნას ადეკვატური ინსტიტუციური სტრუქტურები და ადმინისტრაციული რესურსები.

2010 წლის იანვარში, საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ ჩამოაყალიბა ექსპორტის მხარდაჭერის დეპარტამენტი. 2010 წლის სექტემბერში საინვესტიციო სააგენტომ ამოქმედა ახალი ვებგვერდი, რომელიც ფოკუსირებულია საქართველოს ექსპორტიორების საჭიროებებსა და ინტერესებზე, მათ შორის უცხოური კომპანიებისათვის პარტნიორების მოძიების გაადვილებაზე. 2010 წელს საინვესტიციო სააგენტომ მოაწყო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ექსპორტის ხელშეწყობას და ასევე, ვაჭრობით დაკავებული ადამიანებისთვის საექსპორტო პროცედურების შესახებ რეგულარული კონსულტაციების გაწევასა და მათ ინფორმირებას.

2010 წლის ივლისში, ევროკავშირმა და საქართველომ დაასრულეს მოლაპარაკებები გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების ორმხრივ ხელშეკრულებაზე. ეს ხელშეკრულება, რომელიც პირველი ასეთი ხელშეკრულებაა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორთან, ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირში წარმოებული სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტებით ვაჭრობას.

საქართველომ წინსვლა აჩვენა შემოსავლების მართვის კუთხით. შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება, რომელიც პასუხისმგებელია საბაჟო და საგადასახადო საკითხებზე, 2010 წლის აპრილში საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთდა, რათა უფრო ბიზნესზე ორიენტირებულ სამსახურად იქცეს. 2010 წლის სექტემბერში პარლამენტმა ახალი საგადასახადო კოდექსი მიიღო, რომელიც ძალაში 2011 წლის იანვრიდან შევიდა. არსებული საბაჟო კოდექსის ნორმები 250 მუხლიდან 36 მუხლამდე შემცირდა და ახალ საგადასახადო კოდექსთან გაერთიანდა. ამ ცვლილებების გავლენა უნდა შეფასდეს კანონქვემდებარე აქტებთან ერთად, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული. საქართველოს საბაჟო სამსახური აგრძელებდა რისკების ანალიზზე დაფუძნებული მართვის სისტემის გაუმჯობესებას. ამ სამსახურმა საბაჟო კონტროლის დეპარტამენტში საოპერაციო მართვის განყოფილება შექმნა, რომელიც ფუნქციონირებს როგორც ცენტრალური რგოლი და ჰყავს სპეციალურად გაწვრთნილი პერსონალი. რენტგენის სხივებით სკრინინგის მობილური სისტემები გამოიყენება ავტომობილების კონტროლისათვის და უკვე შექმნილია მონაცემთა ბაზაც. ფუნქციონირებს სატრანზიტო მანქანების მეთვალყურეობის სისტემაც და საბაჟო მონაცემების ავტომატური სისტემის (ASYCUDA) მეშვეობით სკანირებული გამოსახულებები თან ერთვის სატრანზიტო დოკუმენტაციას. საქართველოს საბაჟო სამსახური თანამშრომლებისთვის სანდარტული პროცედურების სახელმძღვანელო შეიმუშავა, რომელიც მოიცავს საბაჟო წესების დარღვევებს, სანქციების

განმარტებებს და სასაზღვრო საბაჟო პროცედურებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ფოთის საზღვაო ნავსადგურსა და ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. რაც შეეხება ეთიკას და ადამიანურ რესურსებს, ფინანსთა სამინისტრომ გამოცხადდა, რომ მათი მიზანია საბაჟო სამსახურში თანამშრომლების გამოსაცდელი ვადით აყვანა და მათი მომზადება. შემუშავების პროცესში ადამიანური რესურსების მართვის ყოვლისმომცველი სტრატეგია. საქართველო ახლა საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის (HS 2007) განახლებულ ვერსიას იყენებს. ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა საბაჟო მოსაკრებლების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს საბაჟო ადმინისტრირების მოსაკრებლების გაუქმებას. საქართველომ შესწორებები შეიტანა საბაჟო კოდექსის იმ თავში, რომელიც საქონლის საბაჟო ღირებულებას ეხება და ამოქმედდა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, რათა უფრო მკაფიოდ განესაზღვრა საბაჟო ღირებულების დადგენის პროცედურები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად. საქართველომ უნდა განაგრძოს ზომების მიღება, რათა მოხდეს საბაჟო ადმინისტრირების მოსაკრებლების პოლიტიკის ჰარმონიზება, გამარტივდეს და კოორდინირებული იქნეს გაფორმების შემდგომი საბაჟო აუდიტი, მიღწეული იქნეს საბაჟო კონტროლის და გადაწყვეტილებების ერთგვაროვნება მთელ საბაჟო სამსახურში, და მოხდეს ფალსიფიცირებული და პირატული პროდუქციის მიმოქცევის გაკონტროლების შესაძლებლობების მოდერნიზება. საჭიროა დამატებითი საკანონმდებლო აქტები მიღება, მაგალითად, ინტეგრირებულ ტარიფებსა და დამატებით საბაჟო რეგულირებაზე (BTI და BOI).

საქართველომ გარკვეული წინსვლა აჩვენა საქონლის თავისუფალი მიმოქცევის და ტექნიკური რეგულაციების კუთხით. 2010 წლის ივლისსა და აგვისტოში მთავრობამ დაამტკიცა სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სტრატეგია ამავე სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამასთან ერთად. დაიწყო პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის პროექტის შემუშავება, რომელიც დასრულდება და დამტკიცდება 2011 წელს. შეიქმნა საბაჟო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ახალი სააგენტო - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია, ამ სფეროში არსებული ორი სააგენტოს შერწყმის საფუძველზე. საბაჟო ზედამხედველობის სტრატეგიის შემუშავება 2011 წელს არის დაგეგმილი.

2010 წლის დეკემბერში, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის სფეროში, საქართველომ სურსათის უვნებლობის სტრატეგია დაამტკიცა, რომელიც მიზნად ისახავს ამ სექტორის ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. 2014 წლისათვის საქართველომ ევროკავშირის ძირითად “ჰორიზონტალურ” კანონმდებლობასთან ჰარმონიზებას გეგმავს. 2010 წელს საქართველომ შეიმუშავა და მიიღო რამდენიმე საკანონმდებლო აქტი, როგორცაა სურსათის და ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოების ჰიგიენის ზოგადი წესები, მათ შორის გამარტივებული წესები მცირე მეწარმეებისათვის. ქვეყანამ ასევე დაამტკიცა ზედამხედველობის, მონიტორინგისა და კონტროლის წესები. საქართველომ შეიმუშავა სურსათის უვნებლობის, ჰიგიენის, სურსათის მწარმოებელთა რეგისტრაციის და სურსათის ეტიკეტირების წესები. 2010 წელს საქართველომ ამოქმედდა 2006 წლიდან შეჩერებული სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მუხლები. შედეგად სურსათის მწარმოებელთა რეგისტრაცია 2010 წლის თებერვალში დაიწყო. 2010 წლის ივლისში საქართველომ შემოიღო მიკვლევადობის მოთხოვნების სავალდებულო ინსპექტირება, თუმცა მხოლოდ ევროკავშირში სურსათის ექსპორტიორ საწარმოთათვის. შესწორება შევიდა კანონში

სურსათის უვნებლობის შესახებ, რის შედეგადაც 2011 წლიდან სახელმწიფო კონტროლი და მიკვლევადობის მოთხოვნები სრულად ამოქმედდა როგორც სურსათის, ისე ცხოველის საკვების ყველა მწარმოებლისათვის. 2010 წლის სექტემბერში დამტკიცებული იქნა სურსათის მწარმოებელთა კონტროლის წლიური სახელმწიფო პროგრამა. 2010 წლის დეკემბერში, მთავრობამ დაამტკიცა სურსათის და ცხოველის საკვების კრიზისული მართვის გენერალური გეგმა. მოხდა ლაბორატორიების შემდგომი მოდერნიზება და გაიხსნა საქონლის ახალი სასაკლაოები. საქართველომ შეიმუშავა მოსამზადებელი პროგრამა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის სფეროში და იზრუნა ექსპერტების მომზადებაზე. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა მოამზადა საკანონმდებლო სფეროში არსებული შეუსაბამობის შეფასება. 2010 წლის ოქტომბერში, ევროკომისიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურმა საქართველოში ჩაატარა თევზის პროდუქტების კონტროლი, ამჟამად კი აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებაში ეხმარება, რათა საქართველომ დააკმაყოფილოს ამ პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტირებისათვის საჭირო მოთხოვნები. საქართველო აგრძელებდა ზედამხედველობას საქონლის ისეთ დაავადებებზე, როგორებიცაა ღორის გრიპი და ჯილეხი. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, საქართველომ სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის სფეროში მნიშვნელოვან წინსვლას უნდა მიაღწიოს, რათა შესაბამისობაში იყოს ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ, უნდა გაგრძელდეს კანონმდებლობის, მისი განხორციელების და აღსრულების გაუმჯობესება, ინსტიტუციური განვითარება და გამკაცრდეს საქონლის დაავადებებზე კონტროლის.

ბიზნესკლიმატის, კომპანიების დაფუძნების და ფუნქციონირების კანონმდებლობის სფეროში საქართველომ ახალი საწარმოების რეგისტრირების ძალზე ეფექტიანი სისტემა შექმნა ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე მომსახურების ცენტრების სახით, რომლებშიც კომპანიის რეგისტრირება და საჭირო ნებართვების გაცემა ნახევარ დღეში ხდება. მსოფლიო ბანკის 2011 წლის ბიზნესის კეთების სიადვილის რეიტინგში ქვეყანამ მე-12 ადგილზე გადაინაცვლა, უმეტესწილად კრედიტის ხელმისაწვდომობის და ინვესტორის უფლებების დაცვის გაუმჯობესების წყალობით. მეწარმეთა შესახებ კანონში 2010 წლის აპრილში შეტანილი ცვლილებებით სავალდებულო გახდა კომპანიის წესდების, მისი მოკლე შინაარსის აღწერით, რეესტრში რეგისტრირება. ეს მოკლე შინაარსი მოიცავს ინფორმაციას აქციონერების, დირექტორის (დირექტორების), კომპანიის მმართველი ორგანოების და გადაწყვეტილების მიღების წესების, დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებისა და კომპანიის ნებისმიერი გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის შესახებ. შემდგომი შესწორებები ამ კანონში 2010 წლის ოქტომბერში შევიდა, რომლითაც კომპანიის ლიკვიდირებისათვის ოთხთვიანი პერიოდი განისაზღვრა.

2010 წელი ასევე იყო პირველი სრული წელიწადი, როდესაც **აუდიტის** ახალი მოთხოვნები დაუწესდა შემდეგ ორგანიზაციებს: (ა) ანგარიშვალდებულ კომპანიებს (როგორც ეს განსაზღვრულია კანონში ფასიანი ქაღალდების შესახებ), რომელთა აქციები მიღებულია ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე; (ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომპანიებს (როგორებიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საბროკერო კომპანიები, და სხვა); და (გ) კომპანიებს, რომელთა აქციონერების რაოდენობა 100-ს აღემატება. აუდიტი უნდა ჩატარდეს კომპანიისგან, კომპანიის დირექტორებისა და აქციონერებისაგან იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ფინანსურ მომსახურებას რაც შეეხება, 2009 წლის დეკემბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური მომსახურების, მათ შორის, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის, ერთადერთი მარეგულირებელია. 2010 წელს ეროვნული ბანკი ანხორციელებდა თანმიმდევრულ გადასვლას რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის სისტემაზე. საბანკო სექტორის კაპიტალის და აუცილებელი რეზერვების მაღალი დონეები უზრუნველყოფდა ადეკვატურ დაცვას უარყოფითი ზემოქმედებისაგან. მიუხედავად ამისა, ბანკებზე მუდმივი ზედამხედველობის გაგრძელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. 2010 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო ახალი ზომები და ეკონომიკური ინსტრუმენტები, რომლებიც გამიზნულია მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი სფეროები

2010 წლის სექტემბერში, პარლამენტმა დაამტკიცა ახალი **საგადასახადო** კოდექსი, რომელიც ძალაში 2011 წლის იანვრიდან შევიდა. ახალმა საგადასახადო კოდექსმა შემოიტანა “მიკრო” და “მცირე” ბიზნესების ცნება. მცირე ბიზნესით დაკავებული ინდივიდებისა და კომპანიების მიმართ გამოყენებული იქნება განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი. ახალი კოდექსის თანახმად, კომპანიები საგადასახადო დეკლარაციებს ყოველკვარტალურად წარადგენენ. ახალი საგადასახადო კოდექსით ასევე მცირდება საგადასახადო საჩივრების იურიდიული განხილვის ხანგრძლივობა 125 დღიდან 65 დღემდე. შემოსავლების სამსახურმა დანერგა გადასახადების დეკლარირების ელექტრონული სისტემა, რაც გადასახადის გადამხდელებს საშუალება აძლევს ელექტრონულად წარადგინონ დეკლარაციები როგორც პირადად, ასევე მათი წარმომადგენლების მეშვეობით. მოლაპარაკებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებაზე მიმდინარეობს ესპანეთთან, კვიპროსთან, სლოვენასთან, უნგრეთთან, სლოვაკიასა და შვედეთთან. საქართველო განაგრძობს ჯართის ექსპორტის აქციზით დაბეგვრას.

კონკურენციის პოლიტიკის სფეროში პროგრესი იქნა მიღწეული. 2010 წლის დეკემბერში დამტკიცდა კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია. ამ სტრატეგიის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ამჟამად მუშაობს კონკურენციის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს პროექტზე (რომელიც მოიცავს ანტიტრასტულ, მათ შორის დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების, შერწყმის გაკონტროლებისა და სახელმწიფო დახმარების წესებს). საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2010 წლის თებერვალში, შეიქმნა დამოუკიდებელი უწყება - საჯარო სამართლის იურიდიულ პირი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც აღარ შედის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში. სააგენტო ამჟამად ახალი პერსონალის დაქირავების ეტაპზეა. მას უნდა განესაზღვროს შესაბამისი უფლებამოსილებები და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადეკვატური რესურსებით.

2010 წელს, **ინტელექტუალური საკუთრების უფლებების** სფეროში, საქართველო ევროკავშირის სტანდარტებთან კანონმდებლობის ჰარმონიზებას განაგრძობდა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების პროცესში. ამასთან დაკავშირებით TAIEX-ის (ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი) მიერ დაფინანსებული სამი სასწავლო სესია ჩატარდა MS IP Offices-ში.

შემუშავდა და 2010 წლის ივნისში მიღებული იქნა საქართველოს ახალი კანონი დიზაინის შესახებ (საპატენტო კანონისგან დამოუკიდებელი). შესწორებული საპატენტო კანონი, რომლითაც დამატებითი დაცვის სერტიფიკატი განისაზღვრა, ძალაში 2010 წლის ივნისში შევიდა. 2010 წლის ივლისში მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება მოსაკრებლების სისტემის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (ინტელექტუალური საუბრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტები - TRIPS - შეთანხმება). ამ ბრძანებულების თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების რეგისტრირების მოსაკრებლები ახლა თანაბარია როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი პირებისათვის და ამრიგად, შეესაბამება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის თაობაზე.

შესწორებები იქნა შეტანილი კანონში სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა სასაქონლო ნიშნის რეგისტრირების დაჩქარებული პროცედურა (განმცხადებლის თხოვნით, დამატებითი საფასურის გადახდით).

სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 2010 წლის ოქტომბერში ამოქმედდა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებში პროკურორს *ex officio* მოქმედების უფლებას ანიჭებს. დამოუკიდებელი საექსპერტო ორგანიზაციის თანახმად, საქართველოში პირატული კომპიუტერული პროგრამების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (95%). ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და გაძლიერებისათვის დამატებითი ძალისხმევა იქნება საჭირო.

კანონი **სტატისტიკის** შესახებ ძალაში 2010 წლის თებერვალში შევიდა. ახალმა სტრუქტურამ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, რომელიც ადრე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო, დამოუკიდებლობა გააძლიერა. ახლა იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (“საქსტატი”). თუმცა, საქსტატის ბიუჯეტს კვლავ სამინისტრო ამტკიცებს და იგი არ არის საკმარისი სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საწარმოთა პოლიტიკის კუთხით გარკვეული პროგრესი შეიმჩნეოდა. საქართველოს ბანკმა “მცირე და საშუალო საწარმოთა დაკრედიტების” საკრედიტო ხაზის მეშვეობით, რომელიც 2010 წლის ივლისში დამტკიცდა, ფინანსების ხელმისაწვდომობა გაზარდა. ეს ბანკს საშუალებას აძლევს, ბიზნესის შესაბამის სეგმენტებში საკრედიტო პროგრამები მთელი ქვეყნის მასშტაბით განავითაროს და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს გაუწიოს მნიშვნელოვანი დახმარება გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფით.

საჯარო ფინანსების მართვას რაც შეეხება, ფინანსთა სამინისტრო აგრძელებდა 2009-2011 წლების სარეფორმო გეგმის განხორციელებას, მათ შორის ზედამხედველობის და სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების გაუმჯობესების ზომების გატარებას. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა, რომელიც სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ამოცანების შესაფერისია, ერთ-ერთი პირობაა ევროკავშირისგან მაკრო-ფინანსური დახმარების მისაღებად.

2010 წლის ოქტომბერში სახელმწიფო **შესყიდვების** კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, საქართველომ, 2010 წლის დეკემბერში, შემოიღო ახალი, ელექტრონული შესყიდვების სისტემა ყველა ტიპის კონტრაქტისათვის, მიუხედავად მათი ზომისა და ხასიათისა. ევროპაში არ არსებობს სახელმწიფო შესყიდვების მეორე ასეთი სიტემა, რომელიც ელექტრონული აუქციონების ასეთი ფართო გამოყენების საშუალებას იძლევა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც შესყიდვის ყველა ანგარიში და მონაცემი

ელექტრონული ფორმით იქნება შენახული და, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აცხადებს, ამ ინფორმაციი დიდი ნაწილი საზოგადოებისათვის იქნება ხელმისაწვდომი. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად მთავარი კრიტერიუმი იქნება ფასი, ხოლო ტექნიკური შეფასება და კვალიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენა მხოლოდ ტენდერში გამარჯვებულის შემთხვევაში მოხდება. ახალი კანონმდებლობის განსახორციელებლად მზადყოფნისათვის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მიიღო ელექტრონული შესყიდვების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ახალ პროცედურებში შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ტენდერში მონაწილეების ტრენინგს, ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობისა და კომპიუტერული პროგრამის შესყიდვას ელექტრონული პლატფორმისთვის. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ფართო საზოგადოებისათვის საინფორმაციო კამპანიების ჩატარებასაც აპირებს.

ახლად შექმნილი საბჭო, რომელშიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შედიან, შესყიდვების პროცესში აღმოჩენილ დარღვევებსა და ხარვეზებზე შემოსულ საჩივრებს განიხილავს.

სახელმწიფო ფინანსების შიდა კონტროლის სფეროში, 2010 წლის მარტში, პარლამენტმა დაამტკიცა კანონი სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ, რომლის თანახმადაც, თანდათანობით, ყველა სამინისტროში შიდა აუდიტის განყოფილებები შეიქმნება. ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულებისა და აუდიტის ინსპექტირებისაგან გამიჯვნის საკითხებში ეს კანონი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება, რომლითაც 2010 წლის სექტემბერში ფინანსური მართვისა და კონტროლის ცენტრალური ჰარმონიზაციის განყოფილება გააუქმა და მისი პერსონალი დაითხოვა, კითხვებს აჩენს ამ სამინისტროს რეფორმისადმი ერთგულებაზე ადამიანურ რესურსებში ინვესტირებისა და შიდა გაძლიერების ასპექტებში.

რაც შეეხება **გარე აუდიტს**, კონტროლის პალატამ დაამტკიცა კონტროლის პალატის შესაძლებლობების განვითარების 2010-2011 წლების გეგმა და ასევე, განვითარების სტრატეგია 2010-2012 წლებისათვის. ეს დოკუმენტები ითვალისწინებს აუდიტის სახელმძღვანელოების დამტკიცებას, ხარისხის კონტროლის სისტემის შემოღებას, პერსონალის დაქირავებას და მის მიზნობრივ ტრენინგს.

5. TanamSromloba marTlmsajulebis, Tavisuflebisა და usafiTxoebis sferoebSi

ევროკავშირ-საქართველოს მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის მესამე სხდომა 2010 წლის ივლისში თბილისში გაიმართა.

საზღვრების მართვის სფეროში საქართველო კვლავ ასრულებდა 2009 წელს მიღებულ საზღვრების ინტეგრირებული მართვის სამოქმედო გეგმას და ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ კავკასიის საზღვრების ინტეგრირებული მართვის (SCIBM) რეგიონულ პროგრამაში, რომელიც 2010 წლის მარტში იქნა წამოწყებული. აზერბაიჯანთან საზღვრის გადამკვეთი წერტილები სრულად იქნა აღჭურვილი და განახლებული სახელმწიფო სახსრებით.

გარდა ამისა, 2010 წლის ოქტომბერში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელი მოაწერა ორწლიან საოპერაციო ხელშეკრულებას FRONTEx-თან არასათანადო მიგრაციისა და სხვადასხვა ქვეყანაში დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით თანამშრომლობის და

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან სამუშაო ურთიერთობების განმტკიცების შესახებ. აგვისტოში სამინისტრომ, ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლის საზღვრის დაცვის ხელშემწყობი გუნდის დახმარებით, ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ შემოსავლების სამსახურთან ერთად მოამზადა ერთობლივი სტანდარტული საოპერაციო პროცედურები.

მიგრაციის სფეროში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებებს, რომლებიც 2011 წლის მარტში შევიდა ძალაში. ევროკავშირისა და საქართველოს პროგრამა “პარტნიორობა მობილურობისათვის” შევიდა განხორციელების ფაზაში – დაიწყო დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის სამწლიანი პროექტი, ასევე რიგი სხვადასხვა ორმხრივი საქმიანობისა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად. მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტების გაცემა საქართველომ 2010 წლის აპრილიდან დაიწყო.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა მოსამზადებელი ღონისძიებების გატარებას გაერო-ს “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ” კონვენციის მესამე ოქმის - “ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ნაწილების, კომპონენტების და ამუნიციის არალეგალური წარმოების და ტრეფიკინგის შესახებ” – მიღების და რატიფიცირებისათვის. “კიბერდანაშაულის შესახებ” ევროპული კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 2010 წლის ოქტომბერში მოახდინა. მას არ მოუხდენია “სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ” ევროპის საბჭოს 2007 წლის კონვენციის რატიფიცირება. ამ კონვენციას საქართველომ 2009 წელს მოაწერა ხელი.

ადამიანებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული სამოქმედო გეგმის (2009-2010 წ.წ.) განხორციელებას; ამავე დროს, 2010 წლის ოქტომბერში სამინისტრომ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კონსულტაციით, მოამზადა სამომავლო გეგმა 2011-12 წლების პერიოდისათვის. გარდა ამისა, საქართველომ 2010 წლის ივლისსა და სექტემბერში უმასპინძლა რეგიონული თანამშრომლობის შეხვედრებს სამართალდამცველ ორგანოებთან (პოლიციის, საზღვრის დაცვის უწყებისა და სასამართლო სისტემის თანამშრომლებთან) მოლდოვიდან და თურქეთიდან. ეს შეხვედრები მიზნად ისახავდა გამოცდილების გაზიარებას და თანამშრომლობის განმტკიცებას.

ნარკოტიკებთან ბრძოლასთან მიმართებაში საქართველოს ჯერ არ მიუღია ნარკოტიკებთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, რომელშიც შევა როგორც მოთხოვნების, ისე მიწოდების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები. თუმცა ქვეყნის კანონმდებლობაში შეტანილია პრევენციისა და აღსრულების შესახებ არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების არსი. ჯანდაცვის სამინისტრო 2009 წლიდან მასპინძლობს ეროვნულ მაკოორდინირებელ ორგანოს, თუმცა ამ უკანასკნელს ჯერ არა აქვს დამკვიდრებული ნარკოტიკების მონიტორინგის სისტემა. არსებობს სხვადასხვა ანგარიში ნარკოტიკების მხრივ არსებული სიტუაციის შესახებ და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით ხორციელდება ნარკომანიის მკურნალობის პროექტები. თუმცა საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ნარკომანების მიმართ ხელს უშლის ამ პროცესებს.

ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით საქართველო განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას “ეგმონტის” (Egmont) და ევრაზიული მოქმედების ჯგუფების (FATF) და

“მანივალის” (Moneyval) ფარგლებში. საქართველოს ჯერ არ მოუწერია ხელი ევროპის საბჭოს კონვენციაზე “დანაშაულის შედეგად მიღებული ფულის გათეთრების, მოძიების, ჩამორთმევისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ”, ასევე “კორუფციის შესახებ” ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კონვენციის 2003 წლის დამატებით ოქმზე, რომელიც მიზნად ისახავს არბიტრებისა და ნაფიცი მსაჯულების მექრთამეობის თავიდან აცილებას.

სექტემბერში პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი **პირადი მონაცემების დაცვის შესახებ**, რომლის გატარებაც აუცილებელია იმისათვის, რომ ხელი მოეწეროს “მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ” ევროპის საბჭოს 1981 წლის კონვენციის დამატებით ოქმს. ეს ოქმი ეხება მაკონტროლებელ ორგანოებს და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო მოძრაობას. იმისათვის, რომ კანონი პრაქტიკულად ამოქმედდეს, უნდა ჩამოყალიბდეს მონაცემთა დაცვის მაკონტროლებელი დამოუკიდებელი ეროვნული უწყება.

რაც შეეხება **სამართლებრივ სფეროში** საერთაშორისო და რეგიონულ თანამშრომლობას, 2010 წლის ნოემბერში CEPOL-მა (საგარეო სამუშაო ჯგუფმა) მოიწონა საქართველოს პოლიციის აკადემიასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმების წინადადება. საქართველოს არ მოუწერია ხელი “სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ” ევროპის საბჭოს კონვენციის მეორე დამატებით ოქმზე, მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების უფლებათა დაცვის მიზნით. როგორც 2009 წელს აღინიშნა, პირადი მონაცემების დაცვის ერთიანი სისტემის არსებობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მოხდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, “ევროპოლთან” და “ევროჯასტთან” სათანადო თანამშრომლობა. საქართველოს არ მოუწერია ხელი არც ევროპულ კონვენციაზე “სისხლის სამართლის საქმეთა გადაცემის” შესახებ. რაც შეეხება სასამართლო თანამშრომლობას სამოქალაქო საკითხებში, საქართველო ჯერ არ მიერთებია კერძო საერთაშორისო სამართლის შესახებ ჰააგის კონვენციის ფარგლებში მიღებულ მნიშვნელოვან კონვენციებს, მაგალითად, **კონვენციებს სასამართლო სფეროში დახმარების შესახებ** (1965 წლის კონვენციას “სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების უცხოეთში მომსახურების შესახებ” და 1970 წლის კონვენციას “სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მტკიცებულების უცხოეთში გატანის შესახებ”) და **კონვენციებს ბავშთა დაცვის შესახებ** (1996 წლის კონვენციას მშობლების პასუხისმგებლობასთან და ბავშვთა დაცვისკენ მიმართულ ზომებთან დაკავშირებული იურისდიქციის, მოქმედი კანონმდებლობის, აღიარების, აღსრულებისა და თანამშრომლობის შესახებ). ევროკავშირი ასევე დაინტერესებულია იმით, რომ საქართველომ განახორციელოს ჰააგის 1980 წლის კონვენცია “ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების შესახებ”.

6. transporti, energetika, garemos dacva, sainformacio sazogadoeba, kvleva da ganviTareba

2009 წელს ჩამოყალიბებული გაერთიანებული **სატრანსპორტო** ადმინისტრაცია 2010 წლის ივლისში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა. საგზაო სექტორში საქართველომ მიიღო დეტალური სამოქმედო გეგმა 2010 წლისათვის, რათა შეესრულებინა 2009 წლის საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია. ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გზების ვარგისობის შემოწმების შემოღება საქართველოს მხოლოდ 2013 წლიდან აქვს განზრახული. განსახილველ პერიოდში

საქართველომ ინვესტიციები ჩადო რკინიგზის სექტორში, რაც თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობისთვის მომზადებასაც მოიცავდა.

2010 წლის დეკემბერში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ფართო შეთანხმებას საჰაერო მომსახურების შესახებ. შეთანხმება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, გახდეს ევროკავშირის სრული პარტნიორი ავიაკომპანიაში, გაუხსნის მას შესაბამის ბაზრებს და გააერთიანებს საქართველოს ევროპის საერთო საავიაციო ზონაში. ამ შეთანხმების შედეგად საქართველო მოახდენს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროპულ სტანდარტებთან და დანერგავს ევროკავშირის საავიაციო წესებს ისეთ სფეროებში, როგორც არის საავიაციო უსაფრთხოება, დაცვა, გარემო, მომხმარებლის დაცვა, საჰაერო მოძრაობის მართვა, ეკონომიკური რეგულირება, კონკურენციის საკითხები და სოციალური საკითხები.

საზღვაო ტრანსპორტის სფეროში საქართველო მონდომებულია, ადადგინოს საზღვაო გადაზიდვების სერტიფიკატების აღიარება ევროკავშირის მიერ, რომელიც 2010 წლის ბოლოს გაუქმდა. საქართველომ დაიწყო მუშაობა ფლაგმანი სახელმწიფოს სტატუსის ინსპექტირების ახალ პოლიტიკაზე და განაცხადა საკუთარი სურვილი - მისი დროშა ამოღებული იქნეს პარიზის პორტის სახელმწიფო კონტროლის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის შავი სიიდან.

საქართველომ და ევროკავშირმა წამოიწიეს დიალოგი ენერგეტიკის სფეროში, 2010 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარდა ენერგეტიკული ქვეკომიტეტის პირველი სხდომა. 2010 წლის ნოემბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ენერგეტიკის სფეროს კომისარი თანათავმჯდომარეობდნენ ბრიუსელში გამართულ საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციებისადმი მიძღვნილ კონფერენციას. 2010 წელს საქართველომ უზრუნველყო ნავთობისა და გაზის ტრანზიტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის ნავთობსადენებით. საქართველო დიდ ყურადღებას ანიჭებს გაზის სამხრეთის დერეფნის, მათ შორის “ნაბუკოსა” და “White Stream”-ის (შავი ზღვის გადამკვეთი გაზსადენი), განვითარებას. 2010 წლის სექტემბერში საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუმინეთის სახელმწიფოს მეთაურებმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა მიიღეს პროექტი AGRI (Azerbaijan-Georgia-Romania Interconnection – აზერბაიჯანის-საქართველოს-რუმინეთის ურთიერთდაკავშირება). პროექტი მიზნად ისახავს თხევადი ბუნებრივი გაზის ექსპორტირებას აზერბაიჯანიდან, საქართველოს შავი ზღვის ტერმინალის გავლით, რუმინეთში და იქიდან სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, აზერბაიჯანული, ბულგარული და ქართული კომპანიები სწავლობდნენ ევროკავშირში საქართველოს სანაპიროდან შავი ზღვის გავლით შემჭიდროებული ბუნებრივი გაზის მიწოდების შესაძლებლობებს. საქართველო, აზერბაიჯანი, ლიტვა, პოლონეთი და უკრაინა განაგრძობდნენ მუშაობას ნავთობის ტრანსპორტირების ევრაზიულ დერეფანთან დაკავშირებით.

საქართველომ, რომელიც ენერგეტიკული თანამეგობრობის დამკვირვებელი ქვეყანაა, წამოიწყო წევრობის შესაძლებლობების შესწავლა. საქართველომ ცვლილებები შეიტანა კანონში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, მათ შორის მესამე პირებისთვის ქსელის ხელმისაწვდომობასთან და სარეზერვო სიმძლავრის შესახებ ნორმებთან დაკავშირებით. საქართველო განაგრძობდა მუშაობას ელექტროენერჯის ახალ სატარიფო მეთოდოლოგიაზე; 2010 წლის ივლისში გაიზარდა ელექტროენერჯის ტარიფები. საქართველომ განახორციელა მცირე და დიდი ჰიდროელექტროსადგურების და გაზის და ელექტროენერჯის ქსელების მშენებლობის და რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი საინვესტიციო პროგრამა. ქვეყანა აგრძელებდა მუშაობას შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი) მშენებლობაზე.

საქართველომ და სომხეთმა წამოიწყეს ურთიერთდამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. ევროკავშირის მხარდაჭერით 2010 წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა მნიშვნელოვანი კონფერენცია ქალაქის მერებს შორის შეთანხმების ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა ენერგოეფექტურობის ხელშეწყობას და ადგილობრივ დონეზე განახლებადი ენერჯის გამოყენებას.

კლიმატის ცვლილების სფეროში მეორე ეროვნულ გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმაში 2011-2014 წლებისათვის, რომელიც ამჟამად მზადდება, კლიმატის ცვლილება პრიორიტეტულ საკითხად არის განსაზღვრული. ჩატარდა კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი მეორე კვირეული, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა კლიმატთან დაკავშირებული 100-ზე მეტი საინფორმაციო ღონისძიება. საქართველო გეგმავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას; ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება “კლიმატის ცვლილების შესახებ” გაერო-ს ჩარჩო კონვენციისთვის მეორე ეროვნულ კომუნიკაციაში (წარდგენილი იქნა 2009 წელს) მოცემული დასკვნები. ხორციელდება მეორე ეროვნული კომუნიკაციის ფარგლებში შემუშავებული ადაპტაციის ორი პროგრამა და დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები ეროვნული მასშტაბით შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების სტრატეგიის შესამუშავებლად. საქართველომ გადადგა ნაბიჯები “სუფთა განვითარების მექანიზმის” ფარგლებში პროექტების მოსამზადებლად და დასამტკიცებლად. გაერო-ს დონეზე არც ერთი ასეთი პროექტი არ დარეგისტრირებულა, ამდენად, დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობამ ორი შეადგინა. ევროკავშირი აგრძელებდა საქართველოს დახმარებას კიოტოს ოქმის განხორციელებაში. სასურველია, რომ საქართველომ სრულად განახორციელოს კანკუნის შეთანხმება, კერძოდ კი შემოიღოს ნახშირბადის დაბალი შემცველობის დამკვიდრების სტრატეგია, მათ შორის რეგულარულად განახლოს ინფორმაცია მიზნის ან განხორციელებული ქმედებების შესახებ.

რაც შეეხება **გარემოს დაცვას**, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო განაგრძობდა მეორე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის შემუშავებას 2011-2014 წლებისათვის, რომელშიც პრიორიტეტულ საკითხებად არის განსაზღვრული შემდეგი სფეროები: ნარჩენების მართვა, წყლის რესურსები, ჰაერის ხარისხი, მიწის რესურსები, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნება, კატასტროფების მართვა, მინერალური რესურსები, მეტყევეობა და შავი ზღვა. ნაკლები წინსვლა აღინიშნა საკანონმდებლო ბაზის, მათ შორის გარემოსდაცვითი კოდექსის და დაკავშირებული კანონების შემუშავებაში. საკანონმდებლო ბაზა შემდგომ დახვეწას საჭიროებს. აუცილებელია საგანგებო ყურადღება არსებული სტრატეგიებისა და გეგმების შესასრულებლად და მონიტორინგისა და აღსრულების განსამტკიცებლად. საქართველომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები პოლიტიკის სხვა სექტორებში – როგორც არის ენერგეტიკა და რეგიონული განვითარება – გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვის ხელშეწყობად. მომზადდა, მაგრამ ჯერ არ გამოქვეყნებული გარემოს მდგომარეობის ამსახველი ანგარიში.

საქართველოს ჯერ არ მოუხდენია გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის “ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის ოქმების რატიფიცირება, ხელი არ მოუწერია გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის “ჰაერის ტრანსსასაზღვრო წყლის ნაკადების და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ” კონვენციაზე. იგი არ მიერთებია არც გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის “საწარმოო შემთხვევებით გამოწვეული ტრანსსასაზღვრო შედეგების შესახებ” კონვენციას და არც გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის “ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების

შესახებ” კონვენციას. გარდა ამისა, მეტი ყურადღება ესაჭიროება უკვე რატიფიცირებული რამდენიმე შეთანხმების განხორციელებას. საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის “წყლის ინიციატივაში”, ასევე ეროვნული პოლიტიკის სფეროში დიალოგის წარმართვასა და შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის საერთაშორისო კომისიაში.

კავკასიის რეგიონული საინფორმაციო ცენტრის საქმიანობა 2010 წელს ძირითადად მოიცავდა მოსახლეობის ინფორმირებასა და მისი მონაწილეობის ხელშეწყობას, გარემოსდაცვით პოლიტიკას და ადგილობრივ გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმებს. გარდა ამისა, 2010 წელს კავკასიის რეგიონულმა საინფორმაციო ცენტრმა კიდევ უფრო გააუმჯობესა თავისი შიდა მართვა, ფონდების მოძიება და საჯაროობა. მაგრამ ორგანიზაცია განიცდის წინა წლებიდან დარჩენილ დეფიციტს, რომელიც აფერხებს მის საქმიანობას.

რაც შეეხება **სამოქალაქო დაცვის** სფეროს, ხორციელდება სხვადასხვა საქმიანობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში (*იხ. სექტორთან დაკავშირებული ანგარიში*).

საინფორმაციო საზოგადოებასთან დაკავშირებით საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელი უწყება – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია – მუშაობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ევროკავშირის მარეგულირებელ ბაზასთან დაახლოების მიმართულებით. კომისიამ ასევე უზრუნველყო ბაზრის უფრო მეტად გახსნა. 2010 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაასრულა როგორც მობილურ, ისე ფიქსირებულ ქსელებში ზარების ტერმინაციის ბაზრების განხილვა და ტერმინაციის განაკვეთები დაახლოებით 50%-ით შეამცირა თვითღირებულების დაანგარიშების მეთოდების შემოღების გზით.

2010 წელს საქართველომ გადაწყვიტა, 2011 წლიდან შემოეღო ფიქსირებული და მობილური ნომრების პორტაბელობის სისტემა. საქართველომ ასევე მოამზადა ახალი ნუმერაციის გეგმა, რომელიც 2011 წელს უნდა იქნეს შემოღებული და რომელიც მოახდენს ქვეყნის ნუმერაციის სივრცის რაციონალიზებას და უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან მართვას.

გაიზარდა საქართველოს მონაწილეობა **კვლევის** მეშვიდე ჩარჩო პროგრამაში (FP7). 2010 წლის ნოემბრისთვის განაცხადი 24 კვლევით ჯგუფს ჰქონდა შეტანილი და მათ მიიღეს 1,7 მილიონი ევროს დაფინანსება ევროკავშირისგან. ყველაზე წარმატებული მონაწილეობა აღინიშნა კვლევის ინფრასტრუქტურის, საერთაშორისო თანამშრომლობასა და ჯანდაცვის ნაწილებში. საქართველო განაგრძობდა აქტიურ მონაწილეობას აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ქსელში (FP7 IncoNet EECA პროექტი), რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის რეგიონული დიალოგის გაღრმავებას და კვლევის მეშვიდე ჩარჩო პროგრამაში (FP7) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მონაწილეობის გაზრდას. სემინარი ენერგეტიკის სფეროში კვლევის თემაზე ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ 2010 წლის ოქტომბერში გაიმართა თბილისში. განისაზღვრა კვლევის დარგში ევროკავშირისთვის და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის საერთო ინტერესის სფეროები, კვლევის მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში მომავალი კონკურსების პირობებში პოტენციური ჩართვის მიზნით. საქართველო წარმოადგენს სამიზნე ქვეყანას ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ქსელის ახალ პროექტში (FP7 IncoNet CA/SC),

რომელიც 2010 წლის აპრილში დაიწყო და მიზნად ისახავს ევროკავშირსა და ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, ასევე მოლდოვის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის განმტკიცებასა და გაღრმავებას.

საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს შავის ზღვის ERA-NET პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს თავისი წვლილის შეტანას შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორი ქვეყნების კვლევითი პროგრამების კოორდინირებაში.

7. adamianebs Soris kontaqtebi, ganaTleba da jandacva

2010 წლის იანვარში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაცხადა 2010-15 წლებისათვის **განათლების**, მათ შორის უმაღლესი და საშუალო პროფესიული განათლების, რეფორმების შესახებ. ყურადღება გამახვილდება სტრუქტურებზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე და აღმასრულებელი ინსტიტუტების როლზე. 2010 წლის სექტემბერში მიღებული იქნა ახალი კანონი “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ”, რომლის საფუძველზე აკრედიტაციის რეგულირება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გადაეცა. 2010 წლის ივლისში მიღებული იქნა ახალი წესები ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ. ამ წესებით ცვლილებები იქნა შეტანილი 2010 წლის ივნისის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წესდებაში. იმისათვის, რომ დაგეგმილი სასკოლო რეფორმები განხორციელდეს, საჭიროა მეტი სიცხადე გადამზადების მოტივაციასთან და რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველო მუშაობდა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით, მიმდინარეობდა ბოლონიის პროცესის განხორციელების ხელშემწყობი “დამძობილების” პროექტი.

პროფესიული განათლების და ტრეინინგის სფეროში პარლამენტმა 2010 წლის სექტემბერში მიიღო “პროფესიული განათლების შესახებ” კანონის მნიშვნელოვანი შესწორებები, რითაც უზრუნველყო მკაფიო კავშირი პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის, გაზარდა მოქნილობა და ეს დებულებები შეუსაბამა სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებს. თუმცა მთავრობის მხრიდან ნაკლები კონსულტაციები იმართებოდა კანონის შესწორებებთან დაკავშირებით და პროფესიული განათლების და ტრეინინგის 14-ზე მეტი ცენტრი დაიხურა. 2010 წლის დეკემბერში მთავრობამ მიიღო კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, ძირითადად კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში, რომელიც მოიცავს მთელი განათლებისა და ტრეინინგის სფეროს. განათლების ხარისხის განვითარების ახალი ცენტრი ინტენსიურ კოორდინაციას და თანამშრომლობას ეწეოდა დამსაქმებლებთან პროფესიულ სტანდარტებთან დაკავშირებით და 2010 წლის ბოლოსთვის 100-ზე მეტი ახალი სტანდარტი მიიღო. ზრდასრულთა განათლების ასოციაციამ შეიმუშავა სიცოცხლის მანძილზე სწავლის ეროვნული სტრატეგია. ვაუჩერების დაფინანსების ფართო პროგრამის მეშვეობით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ორგანიზება გაუწია დაწყებითი და საშუალო სკოლების დაახლოებით 20 000 მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას საგანში და სამუშაო ადგილზე პროფესიული ტრეინინგის მეშვეობით – რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მასწავლებელთა სერტიფიცირების ახალი პროცესის განხორციელებისთვის. ეს პროცესი 2010 წელს დაიწყო და 2014 წლიდან სავალდებულო გახდება. ტურინის პროცესის ფარგლებში ტრეინინგის ევროპული ფონდის მიერ განხორციელდა პროფესიული განათლების შეფასება და განათლებისა და ბიზნესის სფეროების თანამშრომლობა.

უმადლესი განათლების რეფორმას საქართველოში დახმარება ეწეოდა პროგრამა “ტემპუსის” მეშვეობით. “ტემპუს IV”-ს მესამე კონკურსის საფუძველზე შეირჩა ხუთი პროექტი, რომელთაგან ერთ-ერთს საქართველოს უნივერსიტეტი უძღვებოდა. 2010-11 სასწავლო წლებში საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობდა პროგრამაში “ერაზმუს მუნდუს”. “ერაზმუს მუნდუსის” “მოქმედება 1”-ის სამაგისტრო კურსების ფარგლებში შვიდი სტიპენდიის დაფინანსებაა მოსალოდნელი, ხოლო “მოქმედება 2”-ის ფარგლებში გამოიყოფა 56 გრანტი სტუდენტებისა და მეცნიერების მობილურობის ხელშესაწყობად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დახმარება ეწეოდა “ჟან მონეს” პროგრამის ფარგლებში ევროპის კანონმდებლობის სფეროში.

ქართველი ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები სარგებლობდნენ დახმარებით პროგრამის “ახალგაზრდობა მოქმედებაში” ფარგლებში გაცვლითი პროგრამების, ნებაყოფლობითი სამსახურისა და ახალგაზრდების თანამშრომლობის საქმიანობის მეშვეობით არაფორმალურ განათლებაში. 2010 წელს თბილისში გაიხსნა ახალგაზრდების საინფორმაციო ცენტრი ფილიალებით რამდენიმე რეგიონში.

კულტურის სფეროში საქართველოს კულტურული დაწესებულებები მონაწილეობდნენ ოთხ პროექტში, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორი ქვეყნებისთვის 2010 წლის საგანგებო პროექტის კულტურის სფეროში პროგრამის ფარგლებში. “დაძმობილების” პირველი პროექტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში 2010 წლის ივნისში დაიწყო და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს პარტნიორობას უწევდა პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი (*Stiftung Preussischer Kulturbesitz*). სასურველია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის და კიევის ინიციატივის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველომ ხელი მოაწეროს ევროპის საბჭოს 2005 წლის ჩარჩო კონვენციას “საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების შესახებ” და მოახდინოს მისი რატიფიცირება.

საქართველო აგრძელებდა რეფორმებს ჯანდაცვის სექტორში. საოჯახო მეურნეობათა ხარჯები ჯანდაცვაზე კვლავ მაღალია, ხოლო ჯანმრთელობის დაზღვევის მიერ მათი დაფარვა – დაბალი. 2010 წლის თებერვალში, გასულ წელს A(H1N1) ვირუსის ეპიდემიის კონტექსტში, ევროკავშირმა და საქართველომ ჩამოაყალიბეს საკომუნიკაციო არხები ეპიდემიოლოგიის სფეროში ინფორმაციის გაზიარებისთვის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის საერთაშორისო მასშტაბის საფრთხის შემთხვევაში. 2010 წელს საქართველომ მიიღო აივ/შიდს-ის ეროვნული სტრატეგიული გეგმა 2011-2016 წლებისათვის. 2010 წლის ოქტომბერში საქართველომ გამოაქვეყნა აივ/შიდს-ის მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული ჩარჩოს პროექტი.

8. ფინანსური თანამშრომლობა — 2010 წლის ძირითადი მონაცემები

თანამშრომლობის ჩარჩო

პროგრამირების დოკუმენტის შუალედურმა განხილვამ დაადასტურა, რომ 2007 წელს მიღებული საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც საქართველოსთან თანამშრომლობის საფუძველია, არ მოძველებულა და შეიძლება ძალაში დარჩეს. 2011–2013 წლების ახალი ეროვნული ინდიკატიური პროგრამა საქართველოსთვის 2010 წლის მაისში იყო მიღებული და მისი ბიუჯეტი 180.3 მლნ ევროს შეადგენს. პროგრამის მიზანი არის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების მხარდაჭერა, ესენია: 1. დემოკრატიული განვითარების, კანონის უზენაესობის და მმართველობის მხარდაჭერა; 2. ეკონომიკური განვითარების და

სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება; 3. სიღარიბის შემცირება და სოციალური რეფორმები და 4. საქართველოს შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება.

2011–2013 წლების ეროვნული ინდიკატიური პროგრამა მოიცავს ფინანსური მოდიფიკაციის შესაძლებლობას, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ახალი აქტივობების დაფინანსების საშუალებას იძლევა, მაგალითად ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამა (მინიმალური ბიუჯეტით 30.9 მლნ ევრო) და მჭიდრო კავშირის დამყარების პოლიტიკა (მინიმუმ 7.4 მლნ ევრო). 2010 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს და განისაზღვრა სამი პრიორიტეტული სფერო, ესენია: სამთავრობო სტრუქტურების მხარდაჭერა შეთანხმების მოსამზადებელი კოორდინირებისა და აქტიური მოლაპარაკებების წარმართვისთვის; სავაჭრო პოლიტიკის რეფორმირების მხარდაჭერა; დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა ზედამხედველობის ინსტიტუტების განმტკიცების საშუალებით.

განხორციელება

მიმდინარეობს 2007, 2008 და 2009 წლების სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. დასრულდა 2007 წლის სამოქმედო გეგმით დაფინანსებული პირველი სექტორული საბიუჯეტო დახმარების პროგრამა საჯარო ფინანსების მართვის სფეროში.

2008 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული სექტორული საბიუჯეტო დახმარების პროგრამა სამართლის სფეროში წარმატებით დასრულდა და წინსვლაც იქნა მიღწეული პრობაციის, იურიდიული დახმარების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და სახალხო დამცველისთვის დახმარების გაწევის სფეროებში. 2009 წლის სამოქმედო გეგმაში მთავარი საქმიანობა კონცენტრირებული იყო პროფესიულ განათლებაზე და ტრენინგზე, ასევე ტექნიკურ დახმარებასა და დამმობილების პროგრამებზე.

2010 წელს საქართველოსთვის 37.2 მლნ ევრო გამოიყო ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ორმხრივი პაკეტის ფარგლებში. 2010 წლის სამოქმედო გეგმა 2010 წლის ივნისში დამტკიცდა და სექტორულ დახმარებას გულისხმობს, რომლის მიზანია: მთავრობის მიერ საჯარო ფინანსების მენეჯმენტში განსახორციელებელი რეფორმების მართვის, კოორდინირების და მონიტორინგის უნარის გაუმჯობესება; ბიუჯეტის დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესება, განხორციელება და მონიტორინგი; კონტროლის პალატის პოტენციალის გაზრდა; შესყიდვების სისტემების ჰარმონიზება ევროკავშირის სტანდარტებთან. იგივე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია 7.2 მილიონი ევროს ტექნიკური დახმარება ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და კიდევ 19 მლნ რეგიონული განვითარების სექტორული დახმარების პროგრამისთვის.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის უშუალო დასრულებისა და მის შემდგომ 8 მლნ ევრო გამოიყო პირდაპირი ჰუმანიტარული დახმარებისთვის. იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ევროკავშირმა დამატებით გამოყო დახმარების სამი „საგანგებო ზომების“ პაკეტის ფარგლებში (და დაფინანსება 105 მლნ ევროთი გაზარდა). პირველი ორი პროგრამა უკვე დასრულდა და შესავლელი გახდა 2010 წლის კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მისაღები საცხოვრებელი პირობებით

დაკმაყოფილება. მესამე, 2010 წლის პროგრამის განხორციელება (43.5 მლნ ევრო) დაწყებულია და ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს (1990–იანი წლების კონფლიქტებით დაზარალებულთა ჩათვლით) განსახლების ახალ ადგილებში სოციალურ–ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას მისცემს.

ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე გამოყოფილი დახმარების გარდა საქართველომ მიიღო დახმარება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის საზღვრისპირა თანამშრომლობის, რეგიონთაშორისი და რეგიონული პროგრამებიდან. საქართველო მონაწილეობს შვედი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამაში (21.3 მლნ 2007–2013 წლების განმავლობაში, მოსალოდნელია თავდაპირველი დახმარების გაზრდა). ამ პროგრამის მთავარი პრიორიტეტები იყო საზღვრისპირა პარტნიორობის მხარდაჭერა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის რესურსების გაერთიანების საფუძველზე, რესურსების და კომპეტენციების გაერთიანება გარემოს დაცვისა და კონსერვაციისთვის და კულტურული და საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერა შავი ზღვის აუზში ერთიანი კულტურული გარემოს შესაქმნელად.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში 2010 წელს დამტკიცდა სამი პროექტი წყლის სექტორში, რომლის დასაფინანსებლად გამოიყო 15 მლნ ევროს ოდენობის გრანტი; მოსალოდნელია, რომ ეს გრანტი მოიზიდავს 167 მლნ ევროს ოდენობის გრანტს ევროპული საფინანსო ინსტიტუტებიდან.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტთან ერთად ევროკავშირი სხვა ინსტრუმენტებიდანაც ეხმარება საქართველოს, ესენია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტი, განვითარების სფეროში თანამშრომლობის ინსტრუმენტი, ასევე თემატური პროგრამა არასახელმწიფო აქტორების და ადგილობრივი ხელისუფლება განვითარებისთვის და სურსათის უსაფრთხოების პროგრამა.

საქართველო განაგრობდა დახმარების მიღებას სტაბილურობის ინსტრუმენტიდან და ეს დახმარება გამიზნული იყო: 1. პოლიტიკური პარტიების უფრო დაბალანსებულად წარმოჩენის უზრუნველსაყოფად; 2. მესხების რეპატრაცია–ინტეგრაციაში წვლილის შესატანად; 3. საქართველოს სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან არსებული ადმინისტრაციული საზღვრის პირას ნდობის აღდგენის ღონისძიებების მხარდასაჭერად; 4. კონსულტაციების გასაწევად საქართველოსთვის სეპარატისტული რეგიონების მიმართ პოლიტიკის შესამუშავებლად და 5. გარდამავალი მართლმსაჯულების კონცეფციის პოპულარიზაციისთვის.

2008 წლის ოქტომბერში ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების ფარგლებში, მომზადდა მეორე ტრანში მაკროფინანსური დახმარების პაკეტი. მისი მაქსიმალური ოდენობა 46 მლნ ევროა. ამ თანხის ნახევარი გრანტია, დანარჩენი კი სესხი. პირველი ტრანში სავარაუდოდ 2011 წელს გადმოირიცხება.

დონორთა შორის კოორდინაცია

ევროკავშირის წარმომადგენლობა კვლავაც აგრძელებდა ქვეანაში დახმარებაზე გამიზნული საქმიანობის კოორდინირებას, განსაკუთრებით ევროკავშირის დონორთა შორის. მთავრობამ უფრო დიდი როლი უნდა ითამაშოს დონორთა კოორდინირებაში.